შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (10.024)

14-21 მაისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მალე წყალმომარაგების 24-საათიანი გრაფიკი ექნება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საუკუნის პროექტი დასასრულს უახლოვდება. ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის 15 სოფელში წყლის სისტემების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქალაქის ცენტრალურ რეზერვუართან მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. ამ ეტაპზე დასკვნით ფაზაშია მდინარე ივრიდან აღნიშნულ რეზერვუარამდე 32 კილომეტრიანი წყლის მაგისტრალის გაყვანის სამუშაოები .

პროექტის ფარგლებში უახლოეს პერიოდში სათავო ნაგებობისა და შუალედური გადამქაჩი რეზერვუარის მშენებლობა დაიწყება, ასევე, მოეწყობა წყალმომარაგების სრულიად ახალი, ცენტრალიზებული სისტემა. დაგეგმილია რეზერვუარების, ჭაბურღილების, სატუმბო სადგურებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია-მშენებლობები.

„ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ჯამური ღირებულება 58 მილიონი ლარია. სამუშაოები ეტაპობრივად 2023 წლის ბოლოსთვის დასრულდება, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სასმელი წყლის პრობლემას საბოლოოდ აღმოფხვრის და მოსახლეობა უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

როგორ მივაღწიოთ გენდერულ თანასწორობას ადგილობრივ დონეზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კონფერენციაში -„გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე: ძირითადი გამოწვევები და სამოქმედო ნაბიჯები“- მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიებაზე საქართველოს მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, გამოწვევებსა და ძირითად სამოქმედო ნაბიჯებზე იმსჯელეს.

კონფერენციის ფარგლებში, ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან. პროექტს „გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაცია“ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს.

ღონისძიებას თვითმმართველობების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ვირტუალური საკვირაო სკოლა

8 მაისს დასრულდა ვირტუალური საკვირაო სკოლა, რომელშიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენელი სკოლებიც. ზემოხსენებული ვირტუალური სკოლა სწავლის უფრო მარტივი და მოსახერხებელი მეთოდია. ინიციატივის მიზანია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების, სოფლის მეურნეობის, პროფესიებისა და რეგიონებში არსებული პროფესიული კოლეჯების შესახებ. პროექტი ახალგაზრდებს დაეხმარება გააცნობიერონ საკუთარი მოქალაქეობრივი როლი, შეიძინონ ცოდნა.

პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამის, განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, პროფესიული უნარების სააგენტოს, პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს, დარგის სპეციალისტებსა და სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებული ბიზნესების წარმომადგენლებს. მონაწილეები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა „მარტივი ლოგიკა“, „გამოიცანი მელოდია“, „რა? სად? როდის?“ და ა.შ. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი და სერთიფიკატი, ასევე მიენიჭათ „თანატოლ განმანათლებელის“ სტატუსი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი, სახელად „ჰერმესი“ გახდა ერთ-ერთი აქტივობის, „რა? სად? როდის?“-ის გამარჯვებული და მოიპოვა პირველი ადგილი.

გუნდი „ჰერმესი“ მადლობას უხდის დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს, ქ-ნ ეთერ ზურიკაშვილს, პროექტის ორგანიზატორს, ქ-ნ მაკა ქემხაძეს და გუნდის კოორდინატორს ნონა ტოკლიკიშვილს.

სტატიის ავტორები:
ლუკა სუარიძე
ნინი გიგოლაშვილი
გიორგი ხუციშვილი
ნინი კობაიძე
შოთა ილურიძე
ნინი ჩოქური

ნაციზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა

ფაშიზმზე გამარჯვების 77 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა-დავით ფხოველიშვილმა და მალხაზ მერაბიშვილმა, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.შინმოუსვლელთა და გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მეორე მსოფლიო ომის ერთი ვეტერანი ჰყავს-98 წლის ნიკოლოზ შანშიაშვილი, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ერთჯერადად 1000 ლარს მიიღებს, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მას დამატებით 250 ლარი გადაეცემა.

***

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„მე მინდა ჩვენს გმირ ვეტერანებს, ყველას მივულოცო დღევანდელი დღე. დღეს არის 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი. მე მინდა, ჩემი დიდი პატივისცემა დავუდასტურო ჩვენს გმირ ვეტერანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეორე მსოფლიო ომში. მოგეხსენებათ, ქართველებს გვაქვს დიდი წვლილი, დამსახურება ამ ომში გამარჯვების და კიდევ ერთხელ მე მინდა ქედი მოვიხარო ჩვენი გმირების წინაშე, რომლებმაც თავი გასწირეს მსოფლიოს უკეთესო მომავლისთვის და მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, ჩვენი, ქართველების ძალიან დიდი დამსახურებაა გამარჯვებაში“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილიც. ნაციზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნის თარიღთან დაკავშირებულ კომენტარში მან თქვა, რომ „რუსეთი 9 მაისით, ქართველი თვითგამოცხადებული მედასავლეთეები კი, 8 მაისით მანიპულირებენ.რაც შეეხება თარიღებს, სამწუხარო რეალობაა დღევანდელი პოლიტიკური დისკუსიის მიერ მოტანილი. რა თქმა უნდა, რუსეთი 9 მაისით მანიპულირებს და რა თქმა უნდა, თვითგამოცხადებული ქართველი მედასავლეთეებიც 8 მაისით მანიპულირებენ, საერთო ჯამში. 9 მაისი არის იმ ხალხის დღე, რომელთან ერთადაც დღეს ვართ, ამ სკვერში. ადამიანების, რომლებმაც ეს გამარჯვება მოიტანეს. ეს არის მათი დღე, ის დღე, როცა ისინი ზეიმობენ. სხვა ყველაფერი ამის გარშემო არის თარიღის ინსტრუმენტალიზირება და დატვირთვის მიცემა თარიღებისთვის. მთავარია, ჩვენს ვეტერანებს ვცეთ პატივი და ამ დღის მიმართ მათ დამოკიდებულებას. ეს არის მათი გამარჯვების დღე და მათი გამარჯვების დღე უნდა აღვნიშნოთ და არა ის დღე, რომელიც შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ხელსაყრელი", - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

8 მაისს მსოფლიო, 9 მაისს კი 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ნაციზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავს აღნიშნავს.

გერმანული ძალების სამხედრო აქტივობა 1945 წლის 8 მაისს, 23:01 წუთზე ოფიციალურად შეწყდა. ამ დროს კი მოსკოვში, ისევე როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, 9 მაისის 01:01 საათი იდგა. 9 მაისს გამთენიისას რადიომ გადმოსცა თბილისშიც, რომ ომი დამთავრდა.

რამდენიმე წელია, პოლიტიკური ძალების და სამოქალაქო სექტორის ნაწილი მოითხოვს, საქართველომ ნაციზმზე გამარჯვების დღე 9 მაისის ნაცვლად, 8 მაისს აღნიშნოს. ამის არგუმენტია ის, რომ საქართველომ გააკეთოს არჩევანი და ეს დღე დასავლურ, ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად აღნიშნოს, რითაც იდეოლოგიურად გაემიჯნება საბჭოური რუსული ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობას.

ნაციზმზე გამარჯვების დღე თბილისში, ტრადიციულად ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან აღინიშნება. წელს, ვინაიდან ვაკის პარკის კასკადზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ხელისუფლების წარმომადგენლები და ომის ვეტერანები ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში მივიდნენ.

მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ.

ვეტერანთა სამსახურის წარმომადგენლების თქმით, დღეს საქართველოში ცხოვრობს მეორე მსოფლიო ომის 172 ვეტერანი, აქედან 77 – თბილისში, დედოფლისწყაროში კი 1 ვეტერანი.



ფქვილის იმპორტი 40 000 ტონა ხორბლის იმპორტს ანაცვლებს

გაიზრდება თუ არა პურზე ფასი?

რუსეთის მიერ ხორბალზე ბაჟის დაწესების გამო, ქვეყანაში ფქვილის იმპორტი გააქტიურდა – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გელა ხანიშვილმა განაცხადა.

ხანიშვილის თქმით, დღეს ქვეყანაში ფქვილის იმპორტი დაახლოებით 40 000 ტონა ხორბლის იმპორტს ანაცვლებს.

„ხორბალთან დაკავშირებული თემა, არც შეფერხებიდან და არც რაიმე პრობლემებიდან არ არის წარმოქმნილი. თოვლის გამო ლარსზე გარკვეული პრობლემები იყო, მაგრამ ძირითადი პრობლემა არის საფასო და რუსეთის პოლიტიკა ხორბალთან და ფქვილთან დაკავშირებით.

როდესაც რუსეთი ხორბალს ადგილობრივ ბაზარს ექსპორტის გადასახადით უფრო იაფად აწვდის, ეს მის მიერ წარმოებული ფქვილის მნიშვნელოვნად დაბალ ფასს წარმოქმნის. დღეს ტომარაზე დაახლოებით 20 ლარია, ამიტომ საქართველოს, რომ მოსახლეობისათვის პური დაბალ ფასებში შეენარჩუნებინა, სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯები ახალი მოსავლის მიღებამდე გადადგა და ფქვილის რაოდენობა ქვეყანაში მაქსიმალურად შემოდის. დღეს ფქვილის გარდამავალი მარაგები გვაქვს, სხვა შემთხვევისთვის ეს მარაგები არ იქნებოდა.

ფქვილი ქვეყანაში საშუალოდ თვეში 1000 ტონის ფარგლებში შემოდიოდა და დღეს 17 000 ტონის ფარგლებში შემოდის. პრაქტიკულად მან დაახლოებით 40 000 ტონის ეკვივალენტი ხორბალი ჩაანაცვლა, მაგრამ ეს მარაგებზე არანაირ გავლენას არ ახდენს და შესაძლო დაბალ ფასებს ინარჩუნებს“, - განაცხადა გელა ხანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი ფედერაციამ მარცვლეულ კულტურებზე მცურავი ბაჟის მექანიზმი გასული წლის 2 ივნისიდან აამოქმედა. საექსპორტო ბაჟი ერთ ტონა რუსულ ხორბალს თითქმის 100 დოლარამდე აძვირებს, მაშინ როცა მსგავსი მოსაკრებელი არ ვრცელდება ფქვილის იმპორტზე. თითქმის ორი თვის წინ კი ეკონომიკის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში ხორბლისა და ფქვილის მოწოდების პრობლემა არ იქნება - "პირიქით, საუბარია, რომ საექსპორტო გადასახადი, რომელიც ხორბალს ზღუდავდა, მოიხსნას და უფრო კარგ პირობებში შეიძინოს საქართველომ“ - განაცხადა მან, რაც ისე აღიქვეს, თითქოს რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე დაწესებული საექსპორტო ბაჟი უქმდებოდა.

ქვეყანაში ხორბლის იმპორტი, დიდწილად, ფქვილის იმპორტმა ჩაანაცვლა.

იაფი ფქვილის მარაგების ფონზე, ავტომატურად შემცირებულია ხორბლის იმპორტი და ხორბლის მარაგები. ქვეყანაში ხორბლის ფქვილის დეფიციტის შექმნის საფუძველი არ არსებობს. მარაგი დღეისათვის გვაქვს საკმარისზე მეტი, თუმცა გვაქვს ფქვილის და არა ხორბლის სახით. დაახლოებით თვენახევარ, ორ თვეში დაიწყება ხორბლის ადგილობრივი მოსავლის აღება.

ივლისი-აგვისტო მსოფლიოში მარცვლეული კულტურების ახალი მოსავლის მიღების სეზონია. ახალი მოსავალი ახალი საფასო პოლიტიკის შემუშავებას განაპირობებს.

დღეისათვის, ხორბლის ფასები მკვეთრადაა გაზრდილი, პრაქტიკულად გაორმაგებულია. იმედი გვაქვს, რომ ფასების კლების ტენდენცია დაიწყება. შესაბამისად, უკვე ამ პერიოდისთვის, საქართველოს მთავრობა შექმნილი ვითარების შესაბამისად იმოქმედებს.

მოსახლეობისა და ექსპერტთა ერთი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ უახლოეს მომავალში მაისიდან პური კიდევ გაძვირდება.

პურის მცხოველთა ასოციაციის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს პერიოდში პურის ფასი 1 ლარსა და 50 თეთრს მიაღწევს.

საცხობების ნაწილმა, პროდუქტის ფასი 10 თეთრით უკვე გაზარდა. ექსპერტები ამბობენ, მატების მიზეზი, იმპორტირებული ფქვილზე გაზრდილი ფასია და გადამწყვეტი მნიშვნელობა, პურის მწარმოებლებისა და მთავრობის პოზიციაა, თუ რა იქნება ამ მიმართულებით.

“თონის პურზე ნამდვილად გაიზარდა ფასი, 10-20 თეთრით, რაც შეეხება საქარხნო პურს სტაბილურად გამოდის. ჯერჯერობით, ფქვილისა და ხორბლის 2 თვიანი მარაგები არსებობს, ოღონდ ფასებია მაღალი. შევხედოთ, მე ვვარაუდობ 15-20 თეთრით გაზრდას”, - ამბობს მალხაზ დოლიძე.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია აცხადებს, რომ მთავრობას სურს, რამდენიმე წელიწადში საქართველოში ხორბლის მოხმარების ნახევარი ადგილობრივმა წარმოებამ დააკმაყოფილოს.

„მსოფლიოში, მარტში, დაახლოებით 13%-ით არის გაზრდილი სურსათზე ფასები. იმ პროდუქტებზე, რაზეც იმპორტზე ვართ დამოკიდებული, მსოფლიო ბაზრისგან მოწყვეტილი ვერ ვიქნებით. და მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ხორბლის და ფქვილის უდიდესი ნაწილის იმპორტს ვახორციელებთ“, -განაცხადა მინისტრმა. თუმცა, მისი თქმით, მთავრობის მიზანია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში მარცვლეულის, ხორბლისა და სხვა პროდუქტების წარმოების ზრდას.

„სტატისტიკის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელთან შედარებით ხორბლის წარმოება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, დაახლოებით 35-36%-ით, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ, ვფიქრობ, მეტი საშუალება გვაქვს“, — განაცხადა მინისტრმა.

ოთარ შამუგიას თანახმად, მთავრობა „კონკრეტულ მექანიზმსაც“ შეიმუშავებს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხორბლის წარმოების ზრდას, „რათა მომავალი წლების განმავლობაში მივაღწიოთ იმ მაჩვენებელს, რომ თვითუზრუნველყოფის დაახლოებით 50% მაინც დავაკმაყოფილოთ“.

უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეჭრის ფონზე, მსოფლიოსა და საქართველოში მოიმატა ხორბლისა და ხორბლის ფქვილის ფასმა.

სპეციალისტების თანახმად, ქვეყანაში არსებული მარაგების ფონზე, ეს ზრდა პურის ფასზე მაისამდე არ აისახებოდა საქართველოს მაღაზიებში, დაახლოებით მაისიდან კი პურის თვითღირებულება დაახლოებით 20 თეთრით მოიმატებდა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

კახეთი-სუფთა რეგიონი

13 მაისს, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში კონკურსის „სუფთა რეგიონი“ დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო“, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ (ჟჩთ), საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ მიერ.

„სუფთა რეგიონის" კონკურსზე, ზედიზედ მეოთხედ კახეთს „სუფთა რეგიონი“-ს სტატუსი მიენიჭა.

დაჯილდოების ცერემონიაზე კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი შიოშვილმა დამსწრე აუდიტორიას სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა.

„მაქვს პატივი სრულიად კახეთის სახლით მივიღო "სუფთა რეგიონის" ჯილდო და კახელების სახელით მადლიერება გამოვხატო. დაგეგმილი მაქვს, ამ ღონისძიების შემდეგ, რომ დავბრუნდები კახეთში, მასშტაბურად შევკრიბო კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურების მეეზოვეები და ეს ჯილდო პირადად მივულოცო. რადგან ეს ჯილდო ეკუთვნის თოთოეულ იმ ადამიანს, რომელიც გულმოდგინედ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას და ზრუნავს ჩვენს რეგიონში ჯანსაღი, სუფთა გარემოს შექმნაზე.

მოდის ტურისტული სეზონი და კახეთი მოწოდების სიმაღლეზე დახვდება რეგიონში ჩამოსულ ვიზიტორებს. სუფთა რეგიონის სტატუსი კი ჩვენთვის დიდი მოტივაციაა, რომ რეგიონი ყოველწლიურად კიდევ უფრო სუფთა და მიმზიდველი გავხადოთ"- აღნიშნა ირაკლი შიოშვილმა.

რეგიონული ფესტივალი ფეხბურთში

14 მაისს, დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე, ფეხბურთში კახეთის რეგიონული ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდა კახეთის რეგიონის 8 გუნდი, რომელთა შემადგენლობაშიც 2008 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

„უკვე 5 წელია, რაც ეს ფესტივალი არსებობს და ის ყოველწლიურად ტარდება. ამჯერად ჩვენმა გუნდმა ორი თამაში ჩაატარა და ორივე მათგანი მოიგო -ერთი წნორთან, მეორე კი ვარდისუბნის გუნდთან. ეს შესარჩევი მატჩებია და აქ გამარჯვებული გუნდები შემდეგ ეტაპებს გადიან ნახევარპინალური მატჩიდან-ფინალურამდე. დღევანდელი ფესტივალის გაგრძელება ტიბაანში იქნება“-აცხადებს დედოფლისწყაროს ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი ზურაბ ჩალაბაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას.

დედოფლისწყაროს გუნდმა 14 მაისის მატჩი მოგებით დაასრულა და ის 9 ქულით ლიდერებს შორისაა. ანა ზირაქიშვილის პირველმა გოლმა დედოფლისწყაროს გუნდს გამარჯვება მოუტანა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ლონდონში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა

,,საინფორმაციო ცნობარი მომზადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვიარების ჯგუფის პროექტის ,,„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ - ფარგლებში.

თბილისში, ბუნებრივი ღვინის ფესტივალი

..ZERO COMPROMISE“ გაიმართა

რიგით მესამე ფესტივალი „ZERO COMPROMISE“, ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დედაქალაქში, ყოფილი აბრეშუმის ქარხანაში იმართება.

ფესტივალზე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ წევრი 90 მწარმოებელია წარმოდგენილი.

ღონისძიების მიზანი ქართული ბუნებრივი ღვინის ცნობადობის გაზრდა და მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტის ზრდის ხელშეწყობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფესტივალის ორგანიზატორების მოწვევით, ღონისძიებას ყოველწლიურად სტუმრობენ ღვინის იმპორტიორები, ჟურნალისტები, მწერლები და ინდუსტრიის სხვა პროფესიონალები სხვადასხვა ქვეყნიდან, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივი მარნების წარმომადგენლებს, ადგილზე გააცნონ ღვინოები პოტენციურ მყიდველებს. სტუმრებს შორისაა ცნობილი ამერიკელი ღვინის მწერალი ელის ფეირინგი, რომლის მიერ ქართული ღვინის კულტურაზე დაწერილმა წიგნმა „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველეს ღვინის კულტურაში“ 2016 წელს, გურმანების სამზარეულო წიგნების მსოფლიო დაჯილდოების ნომინაციაში - „ღვინოზე დაწერილი წლის საუკეთესო წიგნი“ - გაიმარჯვა.

ასოციაცია „ბუნებრივი ღვინო“ დაარსდა 2017 წელს, ქართველი მევენახეების და მეღვინეების მიერ. ასოციაციის ორგანიზებით, ყოველწლიურად, თბილისში ფესტივალი „ZERO COMPROMISE”, ხოლო ქუთაისში ფესტივალი „ამერიმერი“ ტარდება.

„დააფიქსირე შენი არსებობა“!

არცერთი პირი დოკუმენტის გარეშე

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და უNჩჩლ-ის წარმომადგენლებმა, „კარდაკარ“ კამპანიის ფარგლებში, საგურამოში მედიასემინარი ჩაატარეს. როგორც პროექტის ორგანიზატორები ამბობენ, მედიის წარმომადგენელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია ბენეფიციართა გამოსავლენად და ქვეყანაში მოქალაქეობის არქონის შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე დაწვრილებით ისაუბრეს: ნინო ქავჯაიამ, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მრჩეველმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, თეა კვირიკაშვილმა, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მრჩეველმა სამართლებრივ საკითხებში, ია ბიგანიშვილმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს წარმომადგენელმა.

კამპანიის მიზანია მოქალაქეობის არმქონე/უდოკუმენტო პირების იდენტიფიცირება და მათი უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციის ხელშეწყობა.

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, კამპანიის ფარგლებში გამოვლენილი ბენეფიციარები, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს უფასოდ მიიღებენ. მობილური ჯგუფები უზრუნველყოფენ რეგიონებში მოქალაქეობის არმქონე პირების იდენტიფიცირებას, მოქალაქეობრივი სტატუსის განსაზღვრასა და დოკუმენტირებას.

უდოკუმენტო პირები დოკუმენტზე განაცხადის გაკეთებას საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელად შეძლებენ. იმისათვის, რომ მათი ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება ადგილზე მოხდეს, უNჩჩლ-მა სააგენტოს ბიომეტრიული დოკუმენტებისთვის მონაცემების მისაღებად საჭირო სპეციალური აღჭურვილობა გადასცა.

კამპანია UNHCR-ის მხარდაჭერით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქალაქეობის არმქონე/უდოკუმენტო პირების რაოდენობა მცირეა, სახელმწიფო ყველა საჭირო მოქმედებას ახორციელებს იმისათვის, რომ საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქე იყოს რეგისტრირებული და ფლობდეს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რათა გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით და ყველა სახელმწიფო სერვისით.

ინგა შიოლაშვილი

ავტოსატრანსპორტო ნომრის შენახვა „ვირტუალურად“ იქნება შესაძლებელი

ავტოსატრანსპორტო ნომრის შენახვა, ფიზიკური შენახვის ნაცვლად, „ვირტუალურად“ იქნება შესაძლებელი.

კანონში დაგეგმილი ცვლილებები ინიცირებისთვის მზად არის, რომელიც ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

მოქმედი კანონი ე.წ. ფასიანი ნომრების ფიზიკურად შენახვას ითვალისწინებს, რაც მომსახურების სააგენტოს მიერ სათანადო ფართის გამოყოფას მოითხოვს. როგორც კანონის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ეს მომხმარებლისთვის გარკვეულ დაბრკოლებებს იწვევს, რადგან შენახული ნომრის აღება პირს მომსახურების სააგენტოს მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულში შეუძლია, რომელშიც მან ნომერი ჩააბარა. ამასთან, ნომრის მოძებნა დროში ჭიანურდება და ხშირად შენახული ნომრის დაზიანებაც ხდება.

კანონის პროექტის თანახმად, შესაძლებელი იქნება ნომრის შენახვა არა ფიზიკურად, არამედ „ვირტუალურად“. კანონმდებლები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილების შედეგად, მომხმარებელი შეძლებს, მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში მცირე დროში დაიბრუნოს თავისი სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშანი.

ამავე ცვლილებებით, მომსახურების სააგენტო სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანს შვიდი თვის ნაცვლად, ერთ წლამდე ვადით შეინახავს. პროექტით, აღნიშნული მომსახურების საფასური ავტომობილის შემთხვევაში შეადგენს 35 ლარს, ხოლო მოტოციკლის, კვადროციკლის, ტრიციკლის, მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის შემთხვევაში მომსახურების საფასური განისაზღვრება - 25 ლარით.

პროექტის ინიციატორები დეპუტატები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ნინო იოგაშვილი, გიორგი ამილახვარი, ალექსანდრე ტაბატაძე და ალუდა ღუდუშაური არიან.



IDS ბორჯომი წარმოებას დროებით აჩერებს

სანქციების გამო IDS ბორჯომი წარმოებას დროებით აჩერებს. ამ საკითხთან დაკავშირებით კომპანია განცხადებას ავრცელებს.

„გაცნობებთ, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან კომპანია IDS ბორჯომი - საქართველო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე შექმნილ რთულ ვითარებას დაემატა საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული წვდომა, რამაც კომპანიას ჩაუკეტა სავალუტო შემოსავლების მიღებისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა. კომპანია დღემდე სიტუაციის არსებითი გამოსწორების იმედით აგრძელებდა ფუნქციონირებას, რაც სამწუხაროდ, ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია იძულებულია, ა/წ 29 აპრილიდან დროებით შეაჩეროს ბორჯომის ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში წარმოების პროცესი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება უახლოეს მომავალში გამოსწორდება და მოგვეცემა ფუნქციონირების განახლების შესაძლებლობა“, - ნათქვამია **IDS** ბორჯომის განცხადებაში.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ როგორია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, **IDS** ბორჯომი ჯორჯია, **IDS** ბორჯომი beverijis ko. en.vi.-ს ქართული ფილიალის შემოსავალი 2020 წელს 119,729 მლნ დოლარი იყო, გაყიდული საქონლის თვითღირებულება - 61,677 მლნ დოლარი, ხოლო საერთო შემოსავალი - 58,052 მლნ დოლარი. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით, 119,729 მლნ დოლარიანი შემოსავლიდან ყველაზე მეტი - 41,941 მლნ დოლარი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა, მას მოსდევს საქართველო - 29,431 მლნ დოლარის შემოსავლით. ამასთან, ფინანსური დოკუმენტის თანახმად, 2020 წელს კომპანიის საოპერაციო მოგება (მოგება ძირითადი საქმიანობიდან) 43,626 მლნ დოლარს შეადგენდა. ამავე პერიოდში, კომპანია 86,634 მლნ დოლარის აქტივებს ფლობდა.

ანგარიშგების თანახმად, **IDS** ბორჯომი ჯორჯია, **IDS** ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ.ვი.-ს ქართული ფილიალი დაარსდა ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი.-ს მიერ 1997 წლის 8 ოქტომბერს სახელით: „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი-ს თბილისის ფილიალი“. 2009 წლის მარტში სათავო ოფისი ხელახლა რეგისტრირდა სახელით „აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი.“, რამაც გამოიწვია ფილიალის სახელის შეცვლა მისი ამჟამინდელი სახელით.

IDS ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც ერთობლიობაში წარმოადგენს „**IDS** ბორჯომი გრუფს“ (შემდგომში „ჯგუფი“). **IDS** ბორჯომი გრუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ და „ლიკანის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა. აგრეთვე „ბაკურიანის“ წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინაში, დსთ-სა და სხვა ქვეყნებში ჯგუფი ამუშავებს ჩამომსხმელ ობიექტებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიებს საქართველოში, ლიეტუვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში.

ონლაინ პლატფორმა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ბაზრებზე წვდომისათვის

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრმა, ევროკავშირისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის Trade Helpdesk-ის“ ქართულენოვანი პლატფორმის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე.

მისი თქმით, ონლაინ - პლატფორმა შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს 380 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების საქართველოს არარეალიზებული საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონსა და ევროკავშირში.

„პროგრამა კონკრეტულად ემსახურება მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობას, მათ წვდომას ინფორმაციაზე. კონკრეტულად, როდესაც ისინი აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ბაზრებზე პროდუქციის განთავსებას შეეცდებიან, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ინფორმაცია აღნიშნულ პლატფორმაზე, ასევე იქნება „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, როდესაც მეწარმეებს ექნებათ დაინტერესება კონკრეტული პროდუქტების მიმართ, თუ რა მოთხოვნები არსებობს ამ პროდუქტებზე“, - აღნიშნა გენადი არველაძემ.

მინისტრის მოადგილის თქმით, საძიებო სისტემა ასევე საშუალებას იძლევა, რომ ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ყველა საკანონმდებლო აქტზე, ასევე ნებისმიერ მოთხოვნაზე, რომელიც ამა თუ იმ პროდუქტთან მიმართებაში არსებობს.

„ეს გაამარტივებს პროცედურებს, რომელიც საჭიროა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ბაზრებზე წვდომასთან დაკავშირებით“, - განაცხადა არველაძემ.

„აღმოსავლეთი პარტნიორობის Trade Helpdesk“-ის ქართულენოვანი პლატფორმა https://eap.tradehelpdesk.org/ka ბმულის მეშვეობით უფასოდ არის ხელმისაწვდომი. მის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებში - როგორც პროდუქტების, ისე მიზნობრივი ბაზრების კუთხით, ასევე, გაიგონ საბაზრო პირობები პროდუქტებისა და ქვეყნების კონკრეტულ კომბინაციათა შესახებ და შეძლონ, მოიძიონ ბიზნესპარტნიორები.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

საქართველო მაღალი ტურისტული ნაკადისთვის ემზადება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე დღეს საუდის არაბეთის სამეფოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

მარიამ ქვრივიშვილმა და ამერ ომარ ამერმა შეხვედრაზე მოახლოებული ზაფხულის ტურისტული სეზონის წინ მიმდინარე საკითხები განიხილეს. შეხვედრას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მედეა ჯანიაშვილიც დაესწრო.

უწყების ცნობით, შეხვედრაზე მარიამ ქვრივიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და სტუმართმოყვარე ქვეყანაა ტურისტებისთვის, რაც განაპირობებს ვიზიტორების ზრდას წლიდან წლამდე. ამასთან, ორივე მხარის განცხადებით, არის მოლოდინი, რომ წელს, ზაფხულის ტურისტულ სეზონზე საქართველოს საუდის არაბეთის ძალიან ბევრი მოქალაქე ესტუმრება, რომლებიც მაღალი მხარჯველუნარიანობით გამოირჩევიან.

„მოლოდინი გაქვს, რომ ამ ქვეყნიდან იქნება უპრეცედენტოდ მაღალი ტურისტული ნაკადი წლევანდელ, ზაფხულის ტურისტულ სეზონზე, რაც განპირობებულია იმით, რომ ჩვენ წარმატებით დავასრულეთ მოლაპარაკებები ავიაკომპანიებთან, რომლებიც ოპერირებენ, ან ოპერირებას დაიწყებენ საქართველოში და ჯამში ზაფხული სეზონზე საუდის არაბეთიდან ველოდებით კვირაში 54 ავიარეისს თბილისის და ბათუმის მიმართულებით“, - აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.

გარდა ტურისტებისთვის უსაფრთხო გარემოსი, მინისტრის მოადგილემ აქცენტი გააკეთა, რომ ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ოთხსეზონურობით, რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ოჯახური დასვენებისთვის და სწორედ ამიტომ, წლიდან წლამდე იზრდება საქართველოში ტურიზმის დინამიკა.

მისივე თქმით, საუდის არაბეთი საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამიზნე ქვეყანა, საიდანაც შემოსული ვიზიტორები მაღალმხარჯველუნარიანობით გამოირჩევიან.

„საქართველოში დასვენება პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით დაახლოებით, 20-30%-ითაც კი არის გაძვირებული,“ - ამის შესახებ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ ტურ-ოპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ია თაბაგარმა განაცხადა. მისივე შეფასებით, ტურიზმის სექტორში გარკვეულწილად რაღაც აღდგენა არის, მაგრამ ტურ-ოპერატორების მონაცემებით, ძალიან ბევრი გაუქმებული ჯავშნებია, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებიდან.

„შეიძლია 10-15 კომპანიის მონაცემი მოვიყვანო, რომელთაგან უმრავლესობამ განაცხადა, რომ წლის პირველ ნახევარში ევროპიდან მინიმუმ 20-დან 30 ჯგუფამდე გაუქმება აქვთ. თუმცა, ოპტიმისტი მინდა ვიყო და ვთქვა, როგორც კი უკრაინაში დასტაბილურდება სიტუაცია, მაშინვე გაიზრდება ჯავშნები, მანამდე კი გვჭირდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დამსვენებლების მოზიდვა. პირველ რიგში ამ მიზიდულობას გავზრდიდი იმით, რომ გავაიაფებდი და ადამიანებს საშუალებას მივცემდი, სეზონზე რამდენჯერმე ჩამოსულიყვნენ. გაიაფება შეიძლება მოხდეს საწვავზე აქციზის მოხსნის, საშემოსავლო გადასახადი შემცირების ხარჯზე. უნდა ვეცადოთ, რომ ტურისტული პაკეტები უფრო მორგებული გახდეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ფასებს რაც შეეხება, ვიტყოდი, რომ პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით საქართველოში დასვენება დაახლოებით 20-30%-ითაც კი არის გაძვირებული. ამის პირველი მიზეზი არის კვება და სარესტორნო მომსახურება, რომელიც ნამდვილად გაძვირებულია, რადგან პროდუქტია გაძვირებული და ყველაფერი ჯაჭვურ რეაქციაშია. გარდა ამისა, პანდემიის შემდეგ ეტაპობრივად, მუდმივად ძვირდება დენი, გაზი, ყველანაირი გადასახადი, რაც ბიზნესისთვის ძალიან ცუდ შედეგებს იწვევს. ამ ეტაპზე ბიზნესი, რომელიც მასპინძლობის ინდუსტრიას და ტურიზმს შეეხება, ნამდვილად არ არის სახარბიელო მდგომარეობაში,“- აღნიშნა თაბაგარმა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო მიმოსვლის დადებითი დინამიკა 2022 წლის დასაწყისშიც კვლავ ნარჩუნდება.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, 2022 წლის აპრილის თვეში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში მგზავრთნაკადის 87% აღდგა. 2022 წლის აპრილში, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 59,033 მგზავრს მოემსახურა. (2019 წლის აპრილი 67,530 მგზავრი).

„მგზავრთნაკადის გარდა, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დადებითი დინამიკაა ავიარეისების რაოდენობის აღდგენის კუთხითაც. აპრილში, აეროპორტში რეისების 110 % აღდგა და 240 რეისს მოემსახურა. (2019 წლის აპრილი - 219 რეისი). საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 5 ავიაკომპანია 14 ქვეყნის 25 მიმართულებით ოპერირებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აპრილის თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. მათი ინფორმაციით, მიმდინარე წლის აპრილში, საქართველოში 244,293 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. 2021 წლის აპრილის თვესთან შედარებით, ზრდა +184.9%-ს შეადგენს, საერთაშორისო მოგზაურების აღდგენის კოეფიციენტი 2019 წლის მონაცემებთან შედარებით კი 37.7% პროცენტია.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 182,381 შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 140.5 პროცენტით მეტია, ხოლო ტურისტული მოგზაურების 2019 წლის აპრილის თვის მონაცემების 52.3 პროცენტი აღდგენილია.

„2022 წლის 4 თვეში ჯამში საქართველოში 820,796 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა, 2021 წლის იანვარი-აპრილის პერიოდთან შედარებით, ზრდა +272.3%-ია, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36.2 პროცენტი აღდგენილია.

მიმდინარე წელს 4 თვეში საქართველოში 642,343 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი განხორციელდა, ეს მონაცემი 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +233.9 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წლის იანვარი-აპრილის პერიოდის საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების 52.2% აღდგენილია,“ - აღნიშნულია ინფორმაციაში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

წინასწარ შეგვამზადა, რომ მოკვდებოდა- „აზოვსტალში“ დაღუპული ქართველი მებრძოლის ამბავი

„ჯერ არ მოვმკვდარვარ... ხომ ხედავთ, ვიბრძვი, ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი და არ გნებდებით და ამ ბრძოლაში ამომდის სული“... „აზოვსტალში“ დაღუპულმა 27 წლის ტატო ბიგვავამ, ედმონ როსტანის პიესის

„სირანო დე ბერჟერაკის“ ეს ნაწყვეტი „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე, სიკვდილამდე ორი დღით ადრე, 6 მაისს გამოაქვეყნა. ანუკიმ, უფროსმა დამ, მაშინვე მისწერა ტატოს:

- შენი პოსტი რას ნიშნავს?

- ეს ჩემი საყვარელი პიესაა.

- მაგარია. და რას ნიშნავს?

- ეს მისი (სირანოს) რეპლიკაა პიესაში.

- ახლა რამ გაგახსენა?

- მერე შეიძლება ინტერნეტი გაითიშოს.

- რამისთვის ხომ არ გვამზადებ, ყველაფერი კარგადაა?

- ყველაფერი კარგადაა.

- გული გამისკდა.

- გამაგრდი.

- ცოცხალი დაბრუნდი და ჩვენ კარგად ვიქნებით. მთავარია შენ გამაგრდი.

- კარგი.

8 მაისს, „აზოვსტალის“ ტერიტორიაზე, იქ სადაც „აზოვის“ ბატალიონის 60 მებრძოლი აფარებდა თავს, ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბი ჩამოვარდა. ტატო 18 თანამებრძოლთან ერთად ნანგრევებში მოყვა. მისი ცხედარი ნანგრევებიდან 9 მაისს ამოასვენეს.

ტელმან (ტატო) ბიგვავა 1995 წელს, უკრაინაში დაიბადა. დედა, ნანა მამარდაშვილი სოხუმელია. მამა, ბადრი ბიგვავა ზუგდიდიანაა. 10 თვის იყო ანუკი, ტატოს და, როცა, 1993 წელს, აფხაზეთის ომის შემდეგ, ოჯახი უკრაინაში გადავიდა საცხოვრებლად: „მამამ კიევში დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი. უკრაინაში საკუთარი ბიზნესი წამოიწყო და ამიტომ გადაწყვიტეს უკრაინაში გადმოსვლაც. კავშირი საქართველოსთან არასდროს გაგვიწყვეტია. ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდით საქართველოში. ჩემი ძმა უკრაინაში დაიბადა, უკრაინის მოქალაქე იყო, მაგრამ იცოდა, რომ მისი სამშობლო უკრაინასთან ერთად, საქართველო იყო. ომში უკრაინის დროშასთან ერთად, საქართველოს დროშაც თან ჰქონდა. ძალიან უყვარდა აქაურობა, კავშირი არასდროს გაუწყვეტია თავის ფესვებთან. ტანზე ჰქონდა ამოსვირინგებული ქართული ვაზი და ბორჯღალი“, - გვიყვება ანუკი ბიგვავა.

19 წლის იყო ტატო, როცა 2014 წელს, ევრომაიდნის მოვლენების, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად ყირიმის ანექსიისა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების მიერ დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების ნაწილის ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადების შემდეგ, მან და მისმა საუკეთესო მეგობარმა რომამ, უკრაინის საზღვაო ქვეითთა და ჯარისკაცთა პოლკ „აზოვში“ განევრიანება გადაწყვიტეს.

ანუკი, ტატოს და, იმ პერიოდში უკვე საქართველოში ცხოვრობდა:

„დედაც ჩემთან ერთად იყო. ტატო ჩამოვიდა და გვითხრა, რომ „აზოვის“ ბატალიონში აპირებდა გაწევრიანებას. მახსოვს, ძალიან მძაფრი რეაქცია გვქონდა. ყველამ ვიცით, რას ნიშნავს ჯარისკაცის ოჯახის წევრობა. არავინ იცის, სად დაეწევა სიკვდილი. არ დაგვღუპო-მეთქი, ვთხოვდი, მშობლები ვერ გადაიტანენ, რამე რომ დაგემართოს-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ეცით ამ გადაწყვეტილებას პატივი“.

ტატო ბიგვავა ერთწლიანი სწავლების შემდეგ, 2015 წელს, „აზოვის“ პოლკის მებრძოლი გახდა. მშობლებთან, დნეპრში ჩასვლას, იშვიათად ახერხებდა:

„მთელი ეს წლები ასე იცხოვრეს. მარიუპოლიდან დნეპრში თვეში ერთხელ, შაბათ-კვირას ჩადიოდა მათ სანახავად. სულ მის მოლოდინში იყვნენ. მასთან შეხვედრის იმედით ცხოვრობდნენ. ჩემმა მშობლებმა ტატო ბოლოს თებერვლის დასაწყისში ნახეს. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. დედას დაბადების დღე იყო და ტატო ერთი კვირით ჩავიდა მათთან. მე უკანასკნელად სამი წლის წინ ვნახე ჩემი ძმა. როცა შვილთან ერთად ჩავედი უკრაინაში“.

2019 წელს, ტატოს მეგობარი და თანამებრძოლი, რომა რომანენკო, ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა:

„ყველამ ძალიან განვიცადეთ მისი სიკვდილი და კიდევ უფრო მეტი შიში გაგვიჩნდა, რომ ჩემს ძმასაც იგივე ბედი ელოდა. ვეხვეწებოდით, რომ წამოსულიყო, მაგრამ უარი გვითხრა. გვიმეორებდა, ახლა მის ნაცვლადაც უნდა ვიბრძოლოო“.

„ნორმალურად“ - ერთი სიტყვით პასუხობდა ხოლმე ტატო „ტელეგრამში“ ანუკის შეკითხვას „როგორ ხარ?“. არასდროს მიუწერია ოჯახის წევრებისთვის, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ამის შესახებ მხოლოდ შეყვარებულს გაუმხილა:

„მისწერა, რომ სავარაუდოდ, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა. ამზადებდა, რომ ის მოკვდებოდა. ეუბნებოდა, რომ თუ „აზოვსტალი“ დაეცემოდა, 99% ისიც დაიღუპებოდა. სწერდა, რომ აღარც შიში ჰქონდა, აღარც სხვა ემოცია, მარტო სიბრაზე და სიძულვილი“.

ტატოს გარდაცვალების შესახებ ოჯახის წევრებს მისმა თანამებრძოლებმა, მეგობრებმა შეატყობინეს:

„ტატოს ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. მათ სთხოვა, თუკი დავიღუპები, ჩემი ოჯახის წევრებს მაშინვე შეატყობინეთ, ბატალიონის ოფიციალურ შეტყობინებას ნუ დაელოდებითო. 8 მაისს, ტატოს სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე მქონდა მასთან კომუნიკაცია. მივწერე, როგორ ხარ-მეთქი და კარგადო, მიპასუხა. ეს იყო და ეს“.

ტატოს ცხედარი ახლა მარიუპოლშია. რუსული არმიის მიერ ალყაშემოტყმული ქალაქიდან მისი, ისევე, როგორც სხვა დაღუპული მებრძოლების გამოსვენება, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ანუკი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ოჯახი ტატოს ცხედარს დაიბრუნებს, მას, სავარაუდოდ, საქართველოში გადმოასვენებენ და აქ დაკრძალავენ:

„ჩემი მშობლები ამაყები არიან. ეს მისი არჩევანი იყო და ის გმირულად დაიღუპა. ახლა ცდილობენ, რომ როგორმე გამოასვენონ მისი ცხედარი მარიუპოლიდან, რომ უკვალოდ არ დაიკარგოს ტატოს ბრძოლა და მისი სახელი ისტორიას დარჩეს“.

27 წლის ტელმან (ტატო) ბიგვავა კაპიტნის წოდებას ატარებდა. ერთი თვის წინ ის პრეზიდენტმა ზელენსკიმ ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის ორდენით დააჯილდოვა.

12 მაისის მონაცემებით, ვითარება კვლავ უკიდურესად მძიმეა მარიუპოლის მეტალურგიული გიგანტის, კომბინატ „აზოვსტალის“ ტერიტორიაზე, რომელსაც ორ თვეზე მეტია იცავენ უკრაინელი მებრძოლები პოლკ „აზოვიდან“და საზღვაო ქვეითთა 36-ე ბრიგადიდან. მაისის დასაწყისიდან, რუსეთის სამხედრო ძალებმა „აზოვსტალზე“საჰაერო და სახმელეთო შეტევა უფრო ინტენსიური გახადეს.

მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზე რჩება ასეულობით დაჭრილი სამხედრო და დაღუპულთა გვამები. რუსეთი „აზოვსტალის“ დამცველებისგან მოითხოვს იარაღის დაყრას და დანებებას, რასაც ისინი არ თანხმდებიან.

მარიუპოლიდან ვერ ხერხდება კიდევ ერთი დაღუპული ქართველი მებრძოლის, 54 წლის ბახვა ჩიქოვანის გამოსვენება. ის მარიუპოლში 19 მარტს, სავარაუდოდ, დაბომბვის შედეგად დაილუპა.

24 თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, 11 ქართველი მებრძოლი დაილუპა.

მონატრება

გარსევან ლეკაშვილი



18 მაისი ტრაგიკული დღეა ჩვენი ოჯახისათვის, მამა. 10 წელია, უშენოდ ვხვდებით ამ თარიღს, შენს სამუდამო განსასვენებელთან ვიკრიბებით შენი შვილები და ოჯახის წევრები. 68 წლის ასაკში დაგვტოვე შვილები და მეუღლე, ჩამოგვიგდე მხარი შენს ბიჭებს. თუმცა, მანამდე განცდილმა დიდმა ტკივილმა მოგიკლა გული. შვილის უეცარმა გარდაცვალებამ გაგტეხა ფიზიკურადაც და სულიერადაც. ჯანმრთელობა შეგერყა. ვერც შვილების სითბომ და შვილიშვილების დაბადებით გამოწვეულმა სიხარულმა ვერ გაგიმრთელა გული და დროზე ადრე დაგვტოვე, წახვედი შენს დათოსთან.

გვენატრები ყველას. დედა ძალიან განიცდის უშენობას, ვერაფრით მოინელა თქვენი წასვლით გამოწვეული ტკივილი. ცდილობს, დარდი დამალოს ჩვენთან, შვილიშვილებით და შვილთაშვილით ხარობს. შენც როგორ გაიხარებდი, შვილთაშვილს რომ მოსწრებოდი, მაგრამ მუხთალი აღმოჩნდა წუთისოფელი, მამა.

ტყუილი ყოფილა, დრო ყველაფრის მკურნალიაო. დრო ვერასდროს გააფერმკრთალებს იმ მონატრებას, რომელიც წლიდანწლამდე მატულობს.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, მამა. შენ იცოცხლებ მანამდე, სანამ შენი შვილები და შვილიშვილები ცოცხლები იქნებიან და მოგიგონებენ.

შენი ოჯახი

მონატრება

ავთანდილ ოზაშვილი

ჩემო უსაყვარლესო და უსაზღვრო ტკივილო, დაბადების დღეს გილოცავთ იმიერში შენი დაიკოები და შენზე მონატრებული ოჯახის წევრები. 18 მაისს 63 წლის გახდებოდი. 65 წლამდე დღეებს ითვლიდი, რომ პენსიაზე გასულიყავი მალე და ჩვენთან ერთად გაგეტარებინა დარჩენილი სიცოცხლე. ჩვენო ნებიერა ძმაო,როგორი ხანმოკლე აღმოჩნდა შენი სიცოცხლის წლები, როგორ უსაშველოდ გვტკივა, რომ ვერაფერი გიშველეთ. მსუბუქი ყოფილიყოს შენი მონატრებული სამშობლოს მიწა შენს ბავშვივით ალალ გულზე. შეხვედრამდე, ჩემო კეთილო და ყველას მოსიყვარულე ძმაო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი .

შენი გულმოკლული დები

ხსოვნა

ზაზა კოტაშვილი

კორონა ვირუსმა დიდი დაღი დაასვა ჩვენს პედაგოგიურ კოლექტივს. გამოგვაკლდა ადამიანი, რომელიც მრავალი წელი ემსახურებოდა სკოლაში მოსწავლეთა აღზრდასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ჩვენი კოლექტივის იუმორითა და პოზიტივით დაჯილდოვებული სპორტის მასწავლებელი - ზაზა კოტაშვილი, 18 მაისს 55 წლის გახდებოდა.

ჩვენო ზაზა...

სევდა, მწუხარება, დარდი...ყველა სიტყვა ერთ დიდ ტკივილად გააერთიანე და თან გაიყოლე სამუდამო სასუფეველში. ჩვენ კი, ჩვენს კოლექტივს, მხოლოდ სიკეთით სავსე, ხალისიანი, ლამაზი მოგონებები დაგვიტოვე.

რა ვქნათ, ჩვენო ზაზა, ვერ ვეგუებით სამასწავლებლოში უშენობას, გვაკლიხარ, გვჭირდები ჩვენც და შენს მოსწავლეებსაც. შენი ჯანსაღი იუმორი გვენატრება, შენი უღალატო საქმე, შენი გაუტეხელი ხასიათი...შენი საქმიანობა არბოშიკის საჯარო სკოლაში ნიმუშია იმისა, თუ როგორ უანგაროდ უნდა ემსახურო შენს სოფელს, სკოლას და თუ როგორ უნდა მისცე სიყვარულის ნათელი მაგალითი მომავალ თაობებს.

ჩვენო ზაზა...

ჩვენ ყოველთვის მზრუნველ, მოსიყვარულე, შესანიშნავ მამად, მეგობრად, კოლეგად და თანასოფლელად გაგიხსენებთ. მშვიდად განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ჩვენ კი მართალია, გულდაწყვეტითა და დამძიმებული გულით, მაგრამ მუდამ მოგიგონებთ და ვიზრუნებთ შენი სახელის უკვდავსაყოფად...

არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

ლექსო თორაძე გარდაიცვალა

ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე, რომელმაც სახელი სტრავინსკის, შოსტაკოვიჩის, პროკოფიევის შესრულებით გაითქვა, 10 მაისს გარდაიცვალა.

ლექსო თორაძე თბილისში,1952 წელს, კომპოზიტორ დავით თორაძისა და მსახიობ ლიანა ასათიანის ოჯახში დაიბადა. ცხრა წლიდან სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავდა. დაამთავრა თბილისის და მოსკოვის კონსერვატორიები. როგორც ნიჭიერმა მუსიკოსმა მალევე გაითქვა სახელი, ხოლო 1983 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გადასახლდა, მის შესახებ იმათაც კი გაიგეს, ვისაც მუსიკასთან არაფერი აკავშირებდა - ლექსო თორაძე რუსეთის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ესპანეთში გასტროლებზე იმყოფებოდა, როცა აშშ-ის საელჩოში თავშესაფარი მოითხოვა.

ლექსო თორაძის რეპერტუარი საკმაოდ ვრცელი იყო, მაგრამ მან სახელი უფრო რუსი კომპოზიტორების, სტრავინსკის, შოსტაკოვიჩის, პროკოფიევის შესრულებით გაითქვა. მან დისკზე ჩაწერა შოსტაკოვიჩის ყველა საფორტეპიანო კონცერტი ფრანკფურტის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად და ასევე, პროკოფიევის ყველა საფორტეპიანო კონცერტი სანქტ-პეტერბურგის მარიას თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. მის შესრულებას მასშტაბურობა, რომანტიკულობა ახასიათებდა.

თავის ბოლო კონცერტზე, 23 აპრილს, ექიმთან ერთად მივიდა. დარბაზი გააფრთხილეს, შეიძლება დაკვრა ვერც შეძლოსო, მაგრამ შეძლო - ვანკუვერის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შოსტაკოვიჩის მეორე კონცერტი შეასრულა და ისევ საავადმყოფოში დაბრუნდა.

მეორე დღეს ვიდეომიმართვა გაუგზავნა ორკესტრს, გუშინ რაც მოხდა, თითქმის სასწაული იყო, ყველას დიდი მადლობაო, ფაქტობრივად დაემშვიდობა. ამის შემდეგ მისი მდგომარეობა აღარ გაუმჯობესებულა. გარდაიცვალა 10 მაისს, დაბადების დღემდე 20 დღით ადრე. 30 მაისს მას 70 წელი შეუსრულდებოდა.

სიმართლე შინმოუსვლელთა მემორიალის შესახებ



ტელეკომპანია „ტვ.პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, რომელიც დედოფლისწყაროს შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაციას ეხებოდა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:** „მინდა გამოვეხმაურო ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასულ სიუჟეტს, რომელიც ჩვენი კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციას ეხებოდა და სადაც არაერთი უზუსტობა გაიპარა. მინდა, ორი თემა გამოვყო და განმარტება გავაკეთო. დედოფლისწყაროელებს არ გაგვაჩნია რეკრეაციული ზონა-პარკი, სადაც სხვადასხვა თაობის ხალხი შეძლებდა მისვლას და დასვენებას. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, იყო თხოვნა, ამ შინმოუსვლელთა პარკის დასასვენებელ, რეკრეაციულ ზონად გადაქცევის თაობაზე. ჩვენც, წლების განმავლობაში, ვცდილობდით, მოგვეპოვებინა ფინანსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დონორი ორგანიზაციებისგან. მე ვფიქრობ, რომ ნამდვილად მოსალოცად გვაქვს საქმე, რომ „განახლებული რეგიონების“ პროექტის ფარგლებში ჩვენი ქალაქის ცენტრალური ქუჩების განახლება მიმდინარეობს და დაიგეგმა აღნიშნული პარკის რეაბილიტაციაც, რომელიც მემორიალის გარდა, ითვალისწინებს სკვერის 17 ჰექტრამდე ტერიტორიის კეთილმოწყობას, გამწვანებას და გააერთიანებს სხვადასხვა რეკრეაციულ ზონებს, სპორტულ, საბავშვო მოედნებსა და ჩოგბურთის კორტებს, ღია და დახურულ რესტორნებს, ღია ამფითეატრს და სხვა შემეცნებით თუ გასართობ ობიექტებს. ეს იქნება სივრცე, რომელიც მიმზიდველი გახდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ვიზიტორებისთვისაც.

სიუჟეტში ასევე ითქვა, რომ 14 მილიონი ლარი იხარჯება პარკის რეაბილიტაციაზე, მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტში წყალი არ არის. ყველა დედოფლისწყაროელმა იცის, რომ მიმდინარეობს და დასრულების ფაზაშია წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს წყლის უწყვეტი მიწოდებით უზრუნველყოფს. ეს არის ჩვენი მთავრობის, ჩვენი გუნდისა და დიახაც, ჩვენი პრემიერის დამსახურება!“-ამბობს ნიკოლოზ ჯანიაშვილი ვიდეომიმართვაში.

ამ თემაზე საზოგადოების წარმომადგენლებმაც დააფიქსირეს თავიანთი აზრი, სადაც ყურადღება გამახვილდა რაიონისთვის უამრავ თანმდევ დადებით ფაქტორზე, რომელსაც პარკის რეაბილიტაციის განხორციელება გამოიწვევს:

პირველი ის, რომ რაიონს ექნება მრავალფუნქციური, კეთილმოწყობილი კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც რაიონის ყველა ასაკობრივი ჯგუფის გართობის,გაჯანსაღებისა და დასვენების შესანიშნავი კერა იქნება. ამ პარკის მომსახურებით ისარგებლებენ რაიონში ჩამოსული ტურისტები და ვიზიტორებიც, რომლებიც დღემდე ჩვენთან ჩამოსვლისთანავე, სათანადო გასართობი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სხვადასხვა რაიონებში გარბიან და ფულსაც იქ ხარჯავენ.

მეორე - პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებზე დასაქმდება ასობით ადამიანი და შეიქმნება სამუშაო ადგილები;

მესამე - პარკის ამოქმედების შემდეგ, მის მოვლა-პატრონობასა და სხვადასხვა სამეწარმეო ობიექტებსა და სერვისებზე (კაფე,ატრაქციონები და სხვა), მუდმივად დასაქმდება მრავალი ათეული დედოფლისწყაროელი.

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 16.05		სამშაბათი 17.05		ოთხშაბათი 18.05		ხუთშაბათი 19.05		პარასკევი 20.05		შაბათი 21.05		კვირა 22.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
16°	12 °	17°	12 °	17 °	14 °	22°	15 °	23 °	14°	24°	19 °	17 °	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65(რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.